საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 66
(11 523)

24 – 27 აგვისტო, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

UEFA CUP — უეფას თასი — საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.

შაფა (აზარბაიჯანი) – ოლიმპია (სლოვენია)	0–3
ვენტსპილსი (ლატვია) – ჰიკი (ფინეთი)	0–1
მიკა (სომხეთი) – ბრაშოვი (რუმინეთი)	0–2
ბროტნინო (ბოსნია) – ვიკინგი (ნორვეგია)	1–1
პოგონი (პოლონეთი) – ფილკირი (ისლანდია)	1–1
გორიცა (სლოვენია) – ნეფტჩი (აზერბაიჯანი)	1–0
რაპიდი (ავსტრია) – კოსმოსი (სან-მარინო)	2–0
დინამო (ალბანეთი) – დინამო (რუმინეთი)	1–3
იოკერიტი (ფინეთი) – ცსკა (უკრაინა)	0–2
სლოვანი (სლოვაკეთი) – ქუიმბრანი (უელსი)	1–0
ჟალგირისი (ლიტვა) – მაკაბი (ისრაელი)	0–1
ნისტრუ (მოლდოვა) – დებრეცენი (უნგრეთი)	1–0
ბელშინა (ბელარუსი) – რუზომბეროკი (სლოვაკეთი)	0–0
ელფსბორგი (შვედეთი) – ტრანსი (ესტონეთი)	5–0
აპოლონი (კვიპროსი) – ტირანა (ალბანეთი)	3–1
ჰაპოელი (ისრაელი) – არარატი (სომხეთი)	3–0
ლოვეჩი (ბულგარეთი) – ლონგფორდი (ირლანდია)	2–0
ცსკა (ბულგარეთი) – შახტარი (ბელარუსი)	3–1
ჰელსინგბორგი (შვედეთი) – მიუპა (ფინეთი)	2–1
გაზიანთეფი (თურქეთი) – ზიმბრუ (მოლდოვა)	4–1
სლიმა (მალტა) – პუხოვი (სლოვაკეთი)	2–1
პარტიზანი (იუგოსლავია) – ს.კოლომა (ანდორა)	7–1
რაპიდი (რუმინეთი) – ატლანტასი (ლიტვა)	8–0
გი გოტუ (ფარერები) – ობილიჩი (იუგოსლავია)	1–1
სტანდარდი (ბელგია) – ვარდარი (მაკედონია)	3–1
სარაევო (ბოსნია) – მარიტიმუ (პორტუგალია)	0–1
ლეგია (პოლონეთი) – ეტელბრიუკი (ლუქსემბურგი)	2–1
გრევენმახერი (ლუქსემბურგი) – აეკი (საბერძნეთი)	0–2
დუნაფერი (უნგრეთი) – ოლიმპიაკოსი (კვიპროსი)	2–4
ვარტექსი (ხორვატია) – ვადუცი (ლიხტენშტეინი)	6–1
ოსიეკი (ხორვატია) – ქინაბურგი (ლატვია)	1–0
სტ. გალენი (შვეიცარია) – პელისტერი (მაკედონია)	2–3
ფლორა (ესტონეთი) – დინამო (ხორვატია)	0–1
გრაცერი(ავსტრია) – ტორსპავნი (ფარერები)	4–0
გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) – მიდტიულანდი (დანია)	0–4
აკრანესი (ისლანდია) – ბრიუგე (ბელგია)	1–6
კილმარნოკი (შოტლანდია) – გლენავონი (ჩრ. ირლანდია)	1–0
შელბურნი (ირლანდია) – ბრონდბიუ (დანია)	0–3
ლანსანტფრეიდი (უელსი) – პოლონია (პოლონეთი)	0–2
ბატე (ბელარუსი) – დინამო (თბილისი)	4–0
ლოკომოტივი (თბილისი) – ბირკირკარა (მალტა)	1–1

UEFA CHAMPIONS LEAGUE — ჩემპიონთა ლიგა

გუშინ გაიმართა ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ტურნირის წილსყრა. 32 გუნდმა შექმნა 8 ჯგუფი 4-4 გუნდით.

გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

A ჯგუფი
რეალი (ესპანეთი)
რომა (იტალია)
ლოკომოტივი (რუსეთი)
ანდერლეხტი (ბელგია)

B ჯგუფი
ლივერპული (ინგლისი)
ბორუსია (გერმანია)
დინამო (უკრაინა)
ბოავიშტა (პორტუგალია)

C ჯგუფი
არსენალი (ინგლისი)
მალიორკა (ესპანეთი)
შალკე-04 (გერმანია)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

D ჯგუფი
ლაციო (იტალია)
გალათასარაი (თურქეთი)
პსვ (ჰოლანდია)
ნანტი (საფრანგეთი)

E ჯგუფი
იუვენტუსი (იტალია)
პორტუ (პორტუგალია)
რუსენბორგი (ნორვეგია)
სელტიკი (შოტლანდია)

F ჯგუფი
ბარსელონა (ესპანეთი)
ლიონი (საფრანგეთი)
ბაიერი (გერმანია)
ფენერბახჩე (თურქეთი)

G ჯგუფი
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
დეპორტივო (ესპანეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
ლილი (საფრანგეთი)

H ჯგუფი
ბავარია (გერმანია)
სპარტაკი (რუსეთი)
ფეიენოორდი (ჰოლანდია)
სპარტა (ჩეხეთი)

UEFA CUP — უეფას თასი — საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.

23 აგვისტო. სტადიონი „ლოკომოტივი“ 10.000 მაყურებელი.

ლოკომოტივი (თბილისი) – ბირკირკარა (მალტა) 1–1

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, დავითნიძე (სირბილაძე 88), ჭიჭვეიშვილი, გოგიჩაიშვილი, გილაური (დათვაძე 46), ჯანაშია (კაიდარაშვილი 61), ონიანი, გელა ქორიძე, ანჩაბაძე.

ბირკირკარა: სავიჩი, ბონიჩი (სიკლუნა 59), სპიტერი, გალეა (ტელუსი 46), კამენზული, დრონკა, ბრინკატი, ზაჰრა, ნვოკო, კალასიონე, სუდა (კენეკი 89).

გოლები: 0-1 ზაჰრა (11), 1-1 ანჩაბაძე (87)
29-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა სალუქვაძემ.

გააფრთხილეს: ქორიძე, გოგიჩაიშვილი; ბრინკატი, ზაჰრა, სპიტერი.

მსაჯი: ჩ. შააკი (ლუქსემბურგი).

იქ „დინამო“ ნადგურდებოდა, აქ – „ლოკომოტივი“

თქვენთან ერთად გვწყინს და გვჭკივა...

გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი ევროთასზე მოასპარეზე ორივე ქართულ გუნდს ერთად ქომაგობდა. ბევრი მათგანი რადიომიმღებით იყო მოსული და შინაურ თუ გარე ბატალიებს თვალსა და ყურს ადევნებდა. მაგრამ სანუგეშო და გასახარელი არსაიდან ისმოდა. იქ, ბელარუსში თბილისის „დინამო“ ნადგურდებოდა, აქ „ლოკომოტივი“ ცოდვილობდა. არა, ნამდვილად არ გათენებულა საჩვენოდ 23 აგვისტო. გაუნათებელ, უკუნ, ბნელ ღამედ შევა ეს თარიღი ქართული ფეხბურთის საე-

იხ. მე–4 გვ.

INTERTOTO CUP

ესსუ-ს ფეხბურთელები ზეიმობენ უეფას თასზე გასვლას

5

„რეალმა“ ესპანეთის სუპერთასი მოიგო.

რაულმა მაგჩის ბოლო 17 წუთში პენ-თრიქით მოათავა საქმე.

5

2

ევთილშობილება: რუსმა სპორტსმენმა უარი თქვა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალზე და იგი ქართული გვარის გერმანელს დაუთმო.

გრანდიოზული თაობაები 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში

2

შემთხვევა, რომელიც მოსკოვის ცსკა-ს მეკარეს სერგეი პერხუნს შეემთხვა მახაჩყალაში „ანჟისთან“ საფეხბურთო მატჩის დროს, როგორც ადრე გაუწყეთ, მძიმე შედეგით დასრულდა. მკურნალი ექიმების განმარტებით ყველაფერი კეთდება ფეხბურთელის გადასარჩენად და ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის აღსადგენად.



დავიდსის სარჩელის განხილვას ბლატერის წინააღმდეგ ამსტერდამის სასამართლო 29 აგვისტოს დაიწყებს.

7



ანონსი

სიცოცხლეშივე მარადიული რაული

შემდეგ ნომერში

თარიღი:

25 აგვისტოს სპორტის დამსახურებულ ოსტატს მძლეოსნობაში ელენე გოკიელს დაბადებიდან 83 წელი შეუსრულდებოდა.

უნივერსიადა–2001

2

ძიუდო, ვაუები. 100 კგ: 1. კეიჯი სუძუკი (იაპონია), 2. იან სუნ ხო (კორეა), 3. მიხაილ სოკოლოვი (უზბეკეთი) და ვიტალი იაკოვენკო (რუსეთი); ***+100 კგ:*** 1.დენის ვან დერ გესტი (ჰოლანდია), 2. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი), 3. ...ბდულე ტანგრიევი (უზბეკეთი) და დმიტრი სელეზენი (უკრაინა).

UEFA CHAMPIONS LEAGUE — ჩემპიონთა ლიგა

ფოგოებზე – მარცხნივ: მალიორკა (ესპანეთი) – პაიდუკი (ხორვატია);
მარჯვნივ: ლივერპული (ინგლისი) – პაკა (უელსი)

5

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

SALT LAKE 2002

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 172 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

რედაქტორის სვეტი

„მამლუქები“ ქართული სპორტიდან

გავა დრო, ათწლეულები და ასწლეულები, ყველაფერს იმ სიმაღლიდან გადახედავს მომავალი თაობა და მის თვალწინ გაცოცხლდება XIX საუკუნის 90-იანი და XX საუკუნის საწყისი წლები, როცა საქართველოში ყველაფერი გაუფასურდა და აღარც ქართულ სპორტს აქვს ტრადიციული ხიბლი. მომავალი თაობა, ცხადია, განგვიკითხავს, პასუხს მოგვთხოვს იმისთვისაც, რომ ქვეყანამ ვერ მოუარა, ვერ შეინარჩუნა ქართული სპორტის დიდება და სახელი. დაითვლიან იმ სპორტსმენებსაც, ვინც იძულებით სამშობლოც მიატოვა, ზოგმა გვარიც გამოიცვალა, სახელიც და... ეროვნებაც, უცხო ტომის ხალხს მიემატა სათვალავში. ცხადია, უვარგისი და ისეთი თუ მათ ქვეყანას და ხალხს ვერ განადიდებს, არავის უნდა, არადა, უკვე მრავალი ფაქტია, რომ სხვა ქვეყნებს და სხვა ხალხებს, არაერთი მედალი, მათ შორის ოლიმპიური, მოუტანა ჩვენი ჯიშის და ჯილაგის სპორტსმენმა. ბევრიც ახლა იყურება უცხოეთისკენ. ვერც გაამტყუნებ, ის, რაც ერთხელ გეძლევა ცხოვრებაში, გარკვეულ დროში, უნდა მიიღო. ყველას აქვს თავისი ნიჭის რეალიზაციის უფლება.

აგერ, კიდევ ერთი ახალი ცნობა, უფრო სწორად, ერთი თვის წინანდელი ამბის ახლებური გაჟღერება, რომელმაც მთელი მსოფლიოს სპორტული სამყარო აალაპარაკა და თავისთავად უპრეცედენტოა სპორტსმენის კეთილშობილების თვალსაზრისით. გუშინ გახდა ცნობილი, რომ ივლისში დანიის ქალაქ ოდენსეში გამართულ ბატუტისტთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულმა რუსეთელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კრასნოდარელმა ირინა კარავაევამ უარი განაცხადა დანიაში მოპოვებულ ოქროს მედალზე. „მე შემძრა, რაც ოდენსეში მოხდა. ამიტომ გადავწყვიტე თავად აღვადგინო სამართლიანობა. მსაჯები ამ ტურნირზე შეცდნენ, ჩემს სასარგებლოდ და სწორი იქნება თუ ოქროს მედალს მიიღებს ჩემი მეგობარი ანა დოლონაძე“ – თქვა ბატუტის ვარსკვლავმა. ანა, რომელიც კარგა ხანია გერმანიის მოქალაქეა, მეორე პრიზიორი იყო. ახლა, როგორც ხედავთ, მედლები გაიცვლება, აქვე ვიტყვით, რომ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის წესებით, შედეგები გამოცხადებისა და სპორტსმენთა დაჯილდოების შემდეგ, აღარ განიხილება. ამჯერად გამონაკლისი დაუშვეს თვით რუსი სპორტსმენის დაჟინებული მოთხოვნით.

მოკლედ, ჩაინიშნეთ: კიდევ ერთი ოქროს მედალი მიითვალა მაღალი რანგის ასპარეზობიდან ქართული სპორტის აღზრდილის ანა დოლონაძის წყალობით, ისედაც ბედნიერმა გერმანელმა ერმა.

ჩვენ?

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ის ჩავინიშნოთ შემდეგი ვინ იქნება, ისე, ისტორიისათვის მაინც.

არა მარტო გული უბერებული

მისი სახელი ამ 30-35 წლის წინათ იშვიათად თუ გამორჩებოდათ სპორტულ მიმომხილველებს თავიანთ საეთერო თუ საგაზეთო რეპორტაჟებში რომ არ მოეხსენებინათ. თუმცა მეტი რა ჩარა იყო, იმარჯვებდა და...

ისე, ალბათ, ომარ ეგაძის შემდეგ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის ასეთი სტაბილური მაჩვენებლის მჩატე წონის ფალავანი არ გვყოლია.. ომარ მელაშვილი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და ნაკრების უცვლელი წევრი იყო. ამასთან, პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობასთან ერთად მოგებული ჰქონდა სპორტსაზოგადოებების „შრომითი რეზერვებისა“ და „დინამოს“ საკავშირო პირველობები. ახლა იგი 58 წლისაა და როცა „მოდაში შემოვიდა“ ვეტერანთა მსოფლიო პირველობები, სადაც დღესაც ტოლს არავის უდებს მართლაც ებერებელი „რაჭველი ბაბუა“ შურა მაისურაძე, თვისტომის კვალს გაჰყვა რაჭველი ო. მელაშვილიც. იგი ახლახან ჩამოვიდა უნგრეთის ქალაქ ჩეკეშფეჰევარიდან, სადაც მესამედ გამოდიოდა ვეტერანთა მსოფლიო პირველობაზე. მისი დებიუტი ამ რანგის ასპარეზობაზე სამი წლის წინად შედგა რუსეთის ქალაქ პერმში. იქ ქართველი მოჭიდავე მეოთხე ადგილს ვერ გასცდა. შარშან ვეტერან მოჭიდავეებს ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი მასპინძლობდა. ამ საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირში 350-მდე სპორტსმენი გამოდიოდა. ო. მელაშვილის წონაში პირველობისათვის 12 კაცი იბრძოდა. მან ფინალამდე გზიდან ჩამოიცილა რუმინეთის, ბულგარეთის წარმომადგენლები და ფინალში სვერდლოვსკელ ანატოლი ბანიკოვს შეხვდა. (ეს ის ბანიკოვი იყო პერმში რომ სძლია ქართველ ფალავანს). სურათი ამჯერადაც გამეორდა, ომარმა ქულებით დათმო მასთან ბრძოლა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ო. მელაშვილი ჩეკეშფეჰევარის ხალიჩაზე უფრო მომზადებული წარსდგა, ჯერ ირანელ მეტოქეს სძლია წმინდად — 2.30 წამში, შემდეგ ასევე წმინდად — 1.20 წამში დაამარცხა ბულგარელი და ქვეჯგუფში პირველობა და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა, იქაც კვლავ რუსეთის მოჭიდავეს, ამჯერად ვალერი პეტროვს შეხვდა, სადაც მცირე უპირატესობით — 4:2 პეტროვს ხვდა ჩემპიონობა, ვერცხლს ისევ ო. მელაშვილი დაეპატრონა.

85 კგ. წონაში გამოდიოდა რუსთავის სპორტკომპლექსის დირექტორი თეიმურაზ ნინიკური, რომელმაც II წრეში ტრავმა მიიღო და გამოეთიშა ჩემპიონატს.

ომარ მელაშვილის უნგრეთში გამგზავრება დააფინანსა თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის განყოფილება „სინთეზის“ (უფროსი თორნიკე ნოზაძე) კოლექტივმა, რისთვისაც ო. მელაშვილი დიდ მადლობას უხდის „ლელოს“ საშუალებით.



ო. მელაშვილის (ზემოდან) მარწუხებს თავს ვერ დააღწევ

ჯ. უნგიანი

წიგნის თარო

კიდევ ერთი, ძალიან საინტერესო კრებული ფეხბურთზე

ცნობილმა საფეხბურთო სტატისტიკოსმა ზურაბ თედორაძემ ფეხბურთის მოყვარულებს კიდევ ერთი საჩუქარი უძღვნა. მისი ავტორობით გამოვიდა ახალი სტატისტიკური კრებული „საკლუბო გუნდების შედეგები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში“, რომელშიც შესულია 1936-1991 წლებში უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩები და შედეგები.

„რას მოგვითხრობენ ციფრები?“ – ასეა დასათაურებული კრებულის გამხსნელი წერილი, რომელიც მკითხველის თავისებური მეგზურია, განმარტებები კი ფეხბურთის გულშემატკივრებს ცხრილებში უკეთ გარკვევაში დაეხმარება.

მეორე წერილში „XX საუკუნის 50 ვარსკვლავი საბჭოთა ფეხბურთში“ წარმოდგენილია რჩეული ხუთი ათეული ფეხბურთელი, რომლებმაც „დიდი კვალი დატოვეს საბჭოთა ფეხბურთის განვითარებაში. მათ შორის ქართველებიდან დასახელებულნი არიან: მეკარე – ანზორ კავაზაშვილი, მცველი – მურთაზ ხურცილავა, ნახევარმცველები – ვიტალი დარასელია და დავით ყიფიანი, თავდამხსმელები – მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და ავთანდილ ღოღობერიძე.

კრებულში 62 ცხრილია მოტანილი, რაც, ვფიქრობთ, ყველანაირი გემოვნების ფეხბურთის ქომაგის ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებს.

„ჩვენ არ ვართ დაზღვეული ცალკეული შეცდომებისგან“. ყველა შენიშვნას და წინადადებას დიდი მადლიერებით მივიღებთ, რასაც შემდგომ გამოცემებში გავითვალისწინებთ“ – წერს ავტორი. მისი მისამართია: ვაშლიჯვარი, XIV კორ. ტელ: 52-07-65.

უნივერსიადა დაიწყო

პეკინში გრანდიოზული ზარზეიმით გაიხსნა XXI მსოფლიო სტუდენტური თამაშები. მას შემდეგ, რაც ჩინეთის დედაქალაქმა 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, ინტერესი ამ ქვეყნისადმი არნახულად ამაღლდა. ჩინელებსაც ყველა ხელსაყრელი მომენტით სურთ ხაზი გაუსვან და აგრძნობინონ ყველას, რომ არჩევანში არ შემცდარან სოკ-ის წევრები. ახლა საამისოდ ისინი ისეთ კომპლექსურ და თავისი მასშტაბით გრანდიოზულ ასპარეზობას იჭენებენ, როგორცაა მსოფლიო უნივერსიადა. მით უფრო, რომ ოლიმპიური თამაშებში მონაწილეთა 70-75 პროცენტს ტრადიციულად სტუდენტები შეადგენენ.

უნივერსიადის ემბლემა და თილისმა

წლევანდელი მსოფლიო უნივერსიადა მრავალმხრივაა საყურადღებო. უპირველესი, ალბათ, მაინც ისაა, რომ ჩინელებს სურთ ეს თამაშები ოლიმპიადას გაუტოლონ ორგანიზაციის თვალსაზრისით. ჯერჯერობით მართლაც ასეა და წევრენ კიდეც, რომ ისინი ფაქტობრივად ახლა პატარა ოლიმპიადას მასპინძლობენ. ცხადია, იმასაც მიანიშნებენ, რომ ეს იმ დიდი ოლიმპიადის ერთგვარი რეპეტიციაა, რითაც ადასტურებენ იმასაც, რომ გათავისებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა. თუმცა, ოლიმპიადის ჩინეთში გამოჩენამდე, ჯერ კიდევ 7 წელიწადია. შემდეგ ნიშანდობლივი ისაა, რომ ჩინეთში ასეთი დიდი ასპარეზობა პირველად ტარდება. ცხადია, მხედველობაში გვაქვს უნივერსიადა. რეკორდულია სტუდენტთა ამ თამაშების მონაწილე ქვეყნების რაოდენობა — 168, უმაღლესია სტუდენტ-სპორტსმენთა რიცხვიც — 7 ათასი, (წინა თამაშებში 6 ათასამდე სპორტსმენი გამოდიოდა). ჩინელებმა საკუთარი რეკორდიც დაამყარეს. მათგან 1740 სტუდენტი იასპარეზებს პროგრამაში შემავალ სპორტის თორმეტივე სახეობაში, რაც პირველი შემთხვევაა. მარტო ჩინელთაგან 265 ჟურნალისტი გააშუქებს უნივერსიადას, რაც ასევე თავისებური „ჩინური რეკორდია“.

უნივერსიადა – 2001 პეკინი. ფეხბურთი (შესარჩევი ტურნირი). ვაუები: ბრაზილია — ურუგვაი 2-1, მაროკო — საფრანგეთი 2-1, უკრაინა — იტალია 1-0, სამხ. კორეა — ტაილანდი 5-1, ქალები: კსდრ — ჰოლანდია 3-0, იაპონია — პოლონეთი 5-4.

წყალბურთი. ვაუები: რუსეთი — იაპონია 9:5, საბერძნეთი — სამხ. კორეა 13:7, იუგოსლავია — სამხ. აფრიკა 18:0, ბრაზილია — ესპანეთი 6:6, ჰოლანდია — ჩინეთი 13:7, იტალია — ავსტრალია 9:3.

მასპინძლები 120 მილიონ დოლარს დახარჯავენ სტუდენტთა თამაშების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამასთან, უამრავი ფული დაიხარჯა ახალი სპორტული ბაზების მშენებლობაზე, ძველი ბაზების და გზების შესაკეთებლად, საერთოდ, ქალაქის ინფრასტრუქტურაზე.

დავძენთ, რომ საქართველოდან უნივერსიადაზე ოთხი სტუდენტი სპორტსმენი მონაწილეობს.

მიმომხილველი

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

ჰენრიკ ლარსონი

„ოქროს ბუცი“ – ლარსონს!

გუშინ უეფამ ინდივიდუალური პრიზები გადასცა ფეხბურთელებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გასულ სეზონში. ეფენბერგი აღიარებულია ყველაზე ძვირფას ფეხბურთელად. „ოქროს ბუცი“ დაიმსახურა შოტლანდიის „სელტიკის“ მოთამაშემ ჰენრიკ ლარსონმა.

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

როგორც ვთქვით, მზიას დედა გადასახლებიდან კი დაბრუნდა, მაგრამ რეაბილიტირებული ჯერ კიდევ არ იყო. 1948 წელს ხელახალი რეპრესიები დაიწყო ქვეყანაში. მიზეზის მოძებნას რა უნდოდა. ნატანჯი ქალი იმდენად შეშინებული იყო, რომ ახალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად თბილისიდან თიანეთის რაიონში გადაბარგდა, იქ დაიწყო ჯანპუნქტში მუშაობა სოფელ ახალსოფელში. ბინა სამსახურთან ახლოს იქირავა. ისტორია თითქოს განმეორდა, ესეც გადასახლება და საკუთარი ოჯახიდან ნებაყოფლობით მოწყვეტა იყო, მოსალოდნელი ახალი უბედურების შიშის გამო.

სარა ბენდუქიძის ოჯახში დაბინავდა. კეთილი ქალი იყო სარა, ორი პატარა შვილის დედა.

„შეჯიბრებებზე, როცა მივდიოდი, ჩემი პატარა იქ ჩამყავდა და დედასთან ვტოვებდი. ირინა კარგა ხანს, ლაღად იზრდებოდა სოფლის ბავშვებთან. დედა 1951 წლამდე დარჩა თიანეთში. თავს იმითაც ირჩენდა, რომ შინაური ფრინველები და ცხოველებიც გაიჩინა“ – იგონებს ქალბატონი მზია.

ვარჯიში რომ განაახლა, შვილი 4 თვის იყო. ეს უკვე 1948 წლის ივნისია. იმავე წლის ნოემბერში პირველად ჩაება ამიერკავკასიის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში ბაქოში და პირველობა არავის დაუთმო მრავალჭიდში, ხტომებში კი მეორე იყო. ეს ამბავი, ცხადია, საკავშირო სპორტის მესვეურთა ყურამდეც მივიდა. 1949 წლის დასაწყისში კვლავ უბრუნდება საკავშირო სარბიელს და მეხუთე ადგილს იკავებს მრავალჭიდში, ღერძზე კი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი ხდება.

1950 წლის თებერვალში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობას მზია მოუთმენლად ელოდა. თავს უკვე ძველებურად გრძნობდა. შინაგანი რწმენით ჩაება ამ შეჯიბრებაში. მესამე საპრიზო ადგილის მოპოვება უკვე ბევრს ნიშნავდა. იმ სპორტული საზოგადოების პირველობაზე, სადაც, როგორც საბჭოთა ტანვარჯიშის, ისე, საერთოდ, მთელი საბჭოთა სპორტის ელიტა იყო თავმოყრილი. მესამე ადგილი მრავალჭიდში! აი, რა არის მთავარი! იმავე ასპარეზობაში მეორე ადგილზე გავიდა ხტომებში, ხოლო დვირზე – მეოთხეზე. როგორც წესი, სპორტული საზოგადოებების პირველობები წინ უსწრებდა საკავშირო ჩემპიონატებს და ძალების შემოწმებასთან ერთად საბოლოოდ აქ კომპლექტდებოდა ნაკრები.

1950 წლისთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მიიღებდა თუ არა მონაწილეობას საბჭოთა კავშირი. მაგრამ კულუარებში რაღაც იგრძნობოდა, რომელიც ეტყობა მაინც კრემლიდან იღებდა სათავეს.

საბჭოთა კავშირის პირველობაზე მზიამ კვლავ ჩინებულად იასპარეზა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ღერძზე ვარჯიშში, რაც მთავარია, მრავალჭიდშიც ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. იმავე წელს ცალკე ჩატარდა ქვეყნის პირველობა მრავალჭიღში, სადაც მზიამ ისევ სტაბილურად იასპარეზა და რჩეულ ტანმოვარჯიშეთა შორის კვლავ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე.

ქართველმა ტანმოვარჯიშემ საბოლოოდ მოიპოვა ნდობა. ყველა აღფრთოვანებული რჩებოდა მისი მიზანსწრაფვით, ამოუწურავი შესაძლებლობების დემონსტრირებით, შრომისუნარიანობით, შეუპოვრობით, გაოცებულნი იყვნენ სპეციალისტები იმითაც, რომ მზიამ დედობის შემდეგ, ჩვეული სპორტული ფორმა ძალიან მოკლე დროში დაიბრუნა.

საქმე იმაშია, რომ მზია სხვადასხვა შეჯიბრებებში სხვადასხვა იარაღებზე აჩვენებდა მაღალ შედეგებს. მაგალითად, 1951 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე, ყველასაგან გასაოცრად, ბჯენით ხტომებში მოიპოვა პირველი ადგილი, მეორე იყო ნაირსახეობის ორძელზე, მრავალჭიდში კი მეოთხე ადგილს დასჯერდა მხოლოდ. მანამდე ისევ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში იასპარეზა და ღერძზე ვარჯიშში ვერცხლის მედალი დაიმსახურა...

თენგიზ ბაჩეჩილაძე

დასაწყისი იხ. „ლელო“ №40-41, 43-45, 47, 49, 51, 53, 55, 58, 60, 61, 64.

გაგრძელება იქნება

> საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ტანვარჯიშში ოლიმპიური თამაშების პირველ ჩემპიონ და ვერცხლის პრიზიორ ქალს საქართველოდან, ღირსების ორდენისა და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს *მედეა (მზია) ჯუღელს.*
>
> * * *
>
> „ლელოს“ რედაქცია სიამოვნებით უერთდება ამ მილოცვას.

1947 წ. მოსკოვი. საქართველოს დელეგაცია საკავშირო პარადზე

მარჯვნიდან მესამე – მზია ჯუღელი

ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

მძლეოსანთა ჯურნირი საბერძნეთში

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში დაიწყო მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი. ***100 მ-ზე რბენაში ვაუთა შორის*** პირველი იყო იაპონელი ბუბუხარუ ასახარა — 10,9; ***200 მ:*** კრისტოფერ უილიამსი (იამაიკა) — 20,18; ***400 მ:*** არტიმონ ხატუნგიმანი (ბურუნდი) — 44,70; ***800 მ:*** ხატუნგიმანი — 1.45,71; ***400 მ, დაბრკოლებები:*** ბორის გორბანი (რუსეთი) — 48,70; სტგრძე — ვიტალი შკურლატოვი (რუსეთი) — 8,05; ***სიმაღლე:*** მარკბოსველი (კანადა) — 2,28; ***ბირთვი:*** ნელსონ ადამი (აშშ) — 20,95; ***ურო:*** სიმონ ციოლკოვსკი (პოლონეთი) — 79,32.

ქალები: 100 მ: მერსი ენი ნკუ (ნიგერია) — 11,16; ***200 მ:*** სიდონი მოტერსილი (კაიმანის კუნძული) — 22,76; ***800 მ:*** ზულია კალატაიუდი (კუბა) — 1.59,02; ***100 მ. თარჯრბენი:*** ჯენი ადამსი (აშშ) — 12,87; ***სიგრძე:*** ტატიანო კოტოვა (რუსეთი) — 7,00; ***ჭოკი:*** სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) — 4,62; ***ბადრო:*** ნატალია სადოვა (რუსეთი) — 64,12.

ევროპის საუკეთესო მოთამაშეები და მწვრთნელები სულ 6 კლუბის წარმომადგენლები არიან

უეფამ გამოაქვეყნა იმ ნომინანტების სია, რომელთაგანაც შეირჩევა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი და მწვრთნელი გასული სეზონის შედეგების მიხედვით. სიაში მოხვდნენ მხოლოდ 6 კლუბის წარმომადგენლები. ესენია: „ბავარია“ (5 ნომინანტი), „რეალი“ (4), „ვალენსია (3), „არსენალი“, „ლივერპული“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ (2-2). ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ერთბაშად ორ ნომინაციაში მოხვდა, არის „რეალის“ ფორვარდი რაული.

2000/01 წლების სეზონის ნომინანტები უეფას პრიზზე.

საუკეთესო მეკარე
ფაბიენ ბარტეზი (მანჩესტერ იუნაიტედი)
სანტიაგო კანისარესი (ვალენსია)
ოლივერ კანი (ბავარია)

საუკეთესო მცველი
ფაბიან აიალა (ვალენსია)
იაპ სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი)
სამუელ კუფური (ბავარია)

ნახევარმცველი
ლუიშ ფიგუ (რეალი)
გაისკა მენდიეტა (ვალენსია)
პატრიკ ვიეირა (არსენალი)

საუკეთესო თავდამსხმელი
ჯოვანე ელბერი (ბავარია)
ტერი ანრი (არსენალი)
რაული (რეალი)

ყველაზე ძვირფასი მოთამაშე
შტეფან ეფენბერგი (ბავარია)
გარი მაკალისტერი (ლივერპული)
რაული (რეალი)

საუკეთესო მწვრთნელი
ვისენტე დელ ბოსკე (რეალი)
ოტმარ ხიტცფილდი (ბავარია)
ჟერარ ულიე (ლივერპული).

«ბენეტონში» გადადის...

ტრული

გუშინ, ედი ჯორდანმა დაადასტურა, რომ მომავალ სეზონში მისი გუნდის პილოტი ტრული „ბენეტონში“ გამოვა, სადაც ის თავის თანამემამულე ჯანკარლო ფიზიკელას შეცვლის. თავის მხრივ ფიზიკელამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ჯორდანთან“.

ასე რომ, ფირმა „რენომ“, რომელიც „ბენეტონს“ ძრავებს აწვდის, თავისი საკონტრაქტო უფლებით ისარგებლა შეეძინა ტრული. რამდენიმე დღის წინ იტალიელმა სურვილი გამოთქვა დარჩენილიყო „ჯორდანში“, მაგრამ ახლა იძულებულია სეზონის დამთავრებისთანავე დატოვოს გუნდი. ტრულის მეწყვილედ „ბენეტონში“ იქნება ბრაზილელი ჯენსონ ბატონი.

ევროპის ჩემპიონატი საგზაფაკეცილო ველოსიპედში

ხუთასზე მეტი ველოსიპედისტი იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდება საფრანგეთის ქალაქ აპრემონის გზატკეცილებზე და დღეს, 24 აგვისტოს, აიღებს სტარტს. ტრადიციულად პირველობის ჯილდოები თამაშდება მხოლოდ მოყვარულ სპორტსმენთა შორის (არა უმეტეს 23 წლისა). პარასკევს ჩატარდება რბოლა 20 კილომეტრზე ქალებისთვის და 31,7 კმ-ზე ვაუებისათვის დაყოფილი სტარტით, კვირას კი ჯგუფური რბოლა გაიმართება (108,7 კმ. და 163,8 კმ).

შარშან ანალოგიური ტურნირი პოლონეთში გაიმართა.

რუსეთმა პროპაგანდა დაიწყო...

იულია ბარსუკოვა მხატვრულ ტანვარჯიშში ოლიმპიური ჩემპიონი, გუშინ ინტერნეტით გავრცელებულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მხარს უჭერს და მოხარული იქნება მოსკოვში 2012 წელს იხილოს ოლიმპიური თამაშები. რუსეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე აქედანვე წამოიწყო თამაშების მოსკოვში ჩატარების კამპანია.

„ტურ ბურგოსის“ მე-4 ეტაპი



იტალიელმა მასიმო აპოლონიომ ფინიშთან სპრინტერული გაჭრით მოიგო „ტურ ბურგოსის“ მეოთხე ეტაპი. ის ლიდერობდა რბოლას ოთხ მრბოლთან ერთად, მაგრამ თავბრუდამხვევი ფინიშით უკან ჩამოიტოვა მეტოქეები.

ლელო - მატიანე

გალი. აფხაზეთის „კოლმეურნის“ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობდნენ სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის, გაგრისა და გუდაუთის წარმომადგენლები. პირველობა მოიპოვეს გ. მაისურაძემ, ს. მაისურაძემ, გ. მაისურაძემ (სამივე — სოხუმი), ჭ. კვეკვესკირმა (გალი), ლ. ჯერგენიამ (გუდაუთა), კ. ციკოლიამ (გალი) და შ. ჯენიამ (გუდაუთა).

სტალინირი. მეთხილამურეთა საქალაქო პირველობაში 10 და 18 კმ-ზე გამარჯვება მოიპოვა კ. სიჩოვმა. მოსწავლეთა შორის 10კმ-ზე უძლიერესი იყო გ. ახალკაცი, 18 კმ-ზე — რ. ხეთაგური. ქალთა შორის 3 და 5 კმ-ზე პირველ ადგილზე გავიდა ვ. რიგოევა. ციგურაობაში 100 და 500 მ-ზე რბენაში იმარჯვა ზ.ბესტიევამ, ვაჟებში — 100 მ-ზე — ფ. ცხოვრებოვმა, 500 და 1500 მ-ზე ზ. კეკოშვილმა, 3.000 მ-ზე — ს. გოლოევმა.

ძველა. აქ გაიხსნა ახალი სპორტული კომპლექსი კალათბურთში. ჭიდაობასა და კრივში მომეცადინეთა-თვის.

თელავი. ქალაქის 400 მოსწავლის მონაწილეობით ჩატარდა სწრაფლაშქრობა 5 (გოგონებისთვის) და 8 კმ-ზე (ჭაბუკებისთვის). გოგონებში ყველაზე სწრაფი იყო მ. დვალი, ჭაბუკებში — ვ. კოლელიშვილი. 117-მა მოსწავლემ მშთ ნორმატივი ჩააბარა.

თბილისი. ლ. ჰ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონის საცურაო აუზში ჩატარდა თბილისის პირადი პირველობა ცურვაში. დამყარდა 4 რესპუბლიკური რეკორდი. ორი ეკუთვნის ნ. გვახარიას 200 და 400 მ-ზე გაცურვაში. 2. 48,8 და 5.57,0), ორიც ს. ილინს ბატერფლაით 400 და 500 მ-ზე გაცურვაში (7.17,0 და 9.15,6).

ეროვნული ბიბლიოთეკა



იქ „დინამო“ ნადგურდებოდა, აქ – „ლოკომოტივი“

(პირველი გვერდიდან)

ვროპა, საკლუბო მატიანეში. უეფას თასის სანყისი ეტაპიდან ორივე ქართული გუნდი ერთმანეთის მიყოლებით გამოაძევეს. წლეულს საევროპოდ გამზადებული ოთხივე ჩვენებური კლუბი, საკვალიფიკაციო ეტაპს ვეღარ გასცდა. რას იზამ?! თავს ზევით ძალა არაა, როგორი მწარეც უნდა იყოს, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და ყველამ ვიშრომოთ და ვიღვაწოთ შელახული ღირსების აღსადგენად, რათა გუშინდელი სირცხვილი და თავის მოჭრა, მეტი აღარ განმეორდეს. ნიშნის მოგება და ქილიკი უადგილოა, როცა ერთი მარცხდება, მარცხდება ყველა, მთლიანად ქართული სპორტი, ჩვენი ფეხბურთი – გაუხარელი და გალახული ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. უსუსური, უილაჯო და დაცემულია დღეს ქართული ფეხბურთი, მაგრამ ამას შეიძლება სუბიექტური და ობიექტური მიზეზებიც მოუძებნო, არავის ვამართლებთ. უბრალოდ, თქვენთან ერთად გვწყინს და გვტკივა, ზოგჯერ ეს ტკივილი გაუსაძლისია. მაგრამ უნდა გავუძლოთ, იარები მოვიშუშოთ და გამარჯვებისკენ სავალი გზა ერთად გავკაფოთ. მომავლისთვის ზრუნვა და ნერვიულობა ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს, ჩვენ ყველამ ფეხბურთელმაც, მწვრთნელმაც, ჩინოსანმა თუ უჩინომ, გულშემატკივარმა ერთმანეთს ვუწამლოთ და განვიკურნებით. აუცილებლად განვიკურნებით!

საბა ლომინაძე

ბატე (ბელარუსი) — დინამო (თბილისი) 4-0

ბელარუსული ბორისოვოდან შერცხვენილი დაბრუნდა თბილისის „დინამო“. თბილისელთა ახალგაზრდულმა გუნდმა ზეწოლას, ნერვიულ ატმოსფეროს ვერ გაუძლო, სახეირო ვერაფერი შექმნა, ორი ფეხბურთელიც გაგვიძევეს — ბურდული და გრიშიკაშვილი. ოთხი ბურთიც გაგვიტანეს და ასე, ხელცარიელი გამოგვისტუმრეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყოველთვის თავისი ღირსების შელახვად მიიჩნევდა და ახლაც მიიჩნევს იდავოს აბსურდულ საკითხებზე. გუშინწინ გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე სწორედ, ასეთი აბსურდი იყო წამოწეული წინა პლანზე. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მავანს სურს სასურველი რეალობად გაასაღოს, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სენსაციად აიტაცეს.

სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა დროს ბევრს უცდია ქვეყნის ფეხბურთის სადავეების ხელში ჩასაგდებად ნაოცნებარის სინამდვილედ გადაქცევა, მაგრამ აქედან რაც გამოვიდა ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის საქმეში ჩარევასთან დაკავშირებით, ფიფას ბოლო კონგრესზე, ბუენოს აირესში, საერთაშორისო ფეხბურთის ფედერაციის წევრობიდან გარიცხეს ლიბანი და გვინეა. ნათქვამია: ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენო, სულელები — საკუთარზე! ნუთუ ამან არ უნდა დაგვაფიქროს?

უმაღლესი ლიგა. V ტური

ანონსი

ევროპული სათასო პაექრობების მორიგი ეტაპის დასრულების შემდეგ, ქართული კლუბები კვლავ შინ ითამაშებენ.

მეხუთე ტურში ლიდერობისთვის მებრძოლი თითქმის ყველა გუნდი გასვლით მატჩებს ჩაატარებს. გურიაში ჩავა „ლოკომოტივი“, თბილისის „დინამოს“ ძნელი მატჩი ექნება მცხეთაში, შესუსტებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ამბიციურ „ვიტ ჯორჯიასთან“. ბოლნისის „სიონი“ ახალი მწვრთნელით დაუხვდება ფოთის „კოლხეთს“. გუნდის ყოფილი მწვრთნელები ფირუზ რეხვიაშვილი და გიორგი ყფშიძე გუნდში დარჩებიან და თემურ მახარაძეს გაუწევენ თანაშემწეობას. ბოლო დროს ნირწამხდარი „გორდა“ ჩემპიონს უმასპინძლებს. ძალ-ღონე მოკრებილი „მერანი“ მაჩანჩალა „მეტალურგს“ ესტუმრება. ბათუმის „დინამო“ კი „სამგურალს“ მიიღებს.

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

კვირა — ორშაბათის ტურმა სტუმრებს შეიძლება შელახული რეპუტაცია და სამარცხვინო სტატისტიკა ოდნავ მაინც გამოუკეთოს, რამდენად მოახერხებენ ამას სტუმრები, მათ მარიფათზე და, რა თქმა უნდა, მასპინძელთა „გულუხვობაზე“ იქნება დამოკიდებული.

26 აგვისტო

სიონი — კოლხეთი, 1913

გორდა — ტორპედო

დინამო (ბთ) — სამგურალი

მეტალურგი — მერანი

27 აგვისტო

გურია — ლოკომოტივი

ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ)

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ტორპედო	4	4	0	0	11-0	12
მერანი	4	3	1	0	8-1	10
კოლხ.1913	4	3	0	1	10-5	9
დინამო (თბ)	4	2	1	1	9-4	7
დინამო (ბთ)	4	2	1	1	5-2	7
ლოკომოტ.	4	2	0	2	7-5	6
სამგურალი	4	2	0	2	5-9	6
ვიტ ჯორჯია	4	1	1	2	6-6	4
გორდა	4	1	1	2	4-8	4
სიონი	4	1	0	3	2-9	3
გურია	4	0	1	3	3-8	1
მეტალურგი	4	0	0	4	2-15	0

ბომბარდირები: აშვეთია (ტორპედო) — 6, ბობოხიძე (დინამო, თბ.) — 5, წივწივაძე (კოლხეთი1913) — 4, დავითაშვილი (მერანი) — 3, იონანიძე (ტორპედო) — 3.



I ლიგა • III ტური

პირველ ლიგაში სულ ორი ტურია ჩატარებული, ისიც არასრულად. ამიტომ მათ ნამდვილ ძალასა და შესაძლებლობებზე ლაპარაკი ნაადრევია. მესამე ტური ერთ დღეში ჩატარდება. 25 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდებიან:

დილა — თორი

მერანი-2 — ცხინვალი

დინამო-2 (თბ) — ლაზიკა

კოლხეთი (ხ) — თსუ

იბერია — ლოკომოტივი-3

ქობულეთი — მილანი (წნ)

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მილანი (წნ)	2	1	1	0	3-1	4
დინ-2 (თბ)	2	1	0	1	3-1	3
დილა	1	1	0	0	3-1	3
ლაზიკა	1	1	0	0	2-0	3
ქობულეთი	1	1	0	0	1-0	3
თსუ	2	1	0	1	1-1	3
მერანი2	2	1	0	1	1-2	3
კოლხეთი (ხ)	2	0	2	0	2-2	2
ლოკომოტ.3	2	0	1	1	1-4	1
ცხინვალი	1	0	0	1	1-3	0
თორი	1	0	0	1	0-1	0
იბერია	1	0	0	1	0-2	0

თემურ მახარაძე ბოლნისშია

გუშინწინ, ბოლნისში კლუბ „სიონის“ ადმინისტრაციისა და მესვეურთა საერთო კრებაზე მნიშვნელოვანი საკითხი გაირკვა. ამიერიდან ბოლნისელებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლებათ. უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა ***თემურ მახარაძე.***

იგი სხვადასხვა წლებში უმაღლესი ლიგის სამ კლუბს წვრთნიდა — „მერანს“, „კახეთს“, „ლოკომოტივს“, ახლა კი „სიონს“ ჩაუდგა სათავეში.

გაბელია მკაცრად გააფრთხილეს

სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიამ უმაღლესი და პირველი ლიგების საწყის ტურებში მომხდარი დარღვევები განიხილა.

გურია — მერანის პირველი ტურის მატჩში, მსაჯებისა და სფფ-ს ჩინოსანთა სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე მიიბრძანეს მერანელთა მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია. იგი უკვე მესამე მატჩია ტრიბუნიდან ადევნებს შეგირდებს თვალს. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით, გაბელია კიდევ ერთ მატჩში ვერ იქნება გუნდთან ერთად. საბოლოო ვერდიქტი ასეთია — მკაცრი გაფრთხილება, ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 200 ლარი ჯარიმა.

ხობელი კალისტრატე ხურცილავა ორი ყვითელი ბარათის მიღებისთვის ერთ მატჩს გამოტოვებს, ასევე ერთი მატჩითაა დისკვალიფიცირებული ლოკომოტიველი დავით ბაქრაძე, მინდვრიდან გაძევების მიზეზი კი „ბოლო იმედის ჯარიმა“ იყო.

წნორის მილანისა და ხობის კოლხეთის მატჩში ფეხბურთელებს — ბარამიძესა და ჭიჭინაძეს ერთმანეთში ძიძგილაობა 2-2 მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 100-100 ლარი ჯარიმა დაუჯდათ. თსუ-ელი არჩილ სოხაძე უხეში თამაშის გამო ასევე ორ მატჩში ვერ დაეხმარება თანაგუნდელებს.

ლოკომოტივ 3-ის ფეხბურთელი დათო მორჩილაძე მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის სამ თამაშს გამოტოვებს და 150 ლარს გადაიხდის.

ახალგაზრდულში ცვლილებებია

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმაც დაასახელა უახლოეს შესარჩევ მატჩისთვის ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელები. გუნდში შესამჩნევი ცვლილებებია. ფაქტობრივად, კოპალეიშვილი ახალი შესარჩევი ციკლისთვის იწყებს მზადებას.

ახალგაზრდული ნაკრები 31 აგვისტოს უნგრეთთან და 4 სექტემბერს ლიტვასთან (მატჩები ეროვნულ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება) სათამაშოდ მზადებას 28 აგვისტოდან შეუდგება. გუნდი სასტუმრო „მონოპოლში“ დაბინავდება, ვარჯიშებს კი რუსთავში ჩაატარებს.

გაფართოებულ შემადგენლობაში 23 ფეხბურთელია, მათგან ცხრა ნაკრების დებიუტანტია.

მეკარეები: მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია), ზურაბ მამალაძე (დინამო-2, თბ);
მცველები: ლევან სალუქვაძე (ლოკომოტივი), ჯაბა მუჯირი (ვიტ ჯორჯია), დავით ზაზაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვალერი აბრამიძე (ტორპედო), რამაზ სვანაძე (დინამო თბ), ლადო კაკაშვილი (ლოკომოტივი (მ), რუსეთი), ილია კანდელაკი (დინამო თბ), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო თბ);
ნახევარმცველები: ლადო ბურდული (დინამო თბ), გიორგი დეკანოსიძე (ფიორტი, გერმანია), გივი კვარაცხელია, ლევან კორღალიძე (ორივე — სკონტო, ლატვია), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), ვალერი გაგუა (მერანი), კახა ქაცარავა (დინამო თბ), ზვიად ლაბაძე (გორდა);
თავდამსხმელები: ლაშა ჯაკობია (ლიეჟი, ბელგია), რომან ახალაცი (ტორპედო), მიხეილ ბობოხიძე (დინამო თბ), გიორგი ადამია (ვიტ ჯორჯია), ირაკლი სამხარაძე (კარლსრუე, გერმანია).

ირანული შთაბეჭდილებები

ირანში ჩატარებულ მატჩებს საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელებისთვის საზრუნავი არ მოუკლია. სამუშაო და დასახვეწი ჯერ კიდევ ბევრია. შესარჩევ ტურნირამდე ორი თვე რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების მეტოქეები საკონტროლო მატჩებში მაღალი კლასით არ გამოირჩევიან, მათთან შეხვედრები გარკვეული ანალიზის საშუალებას მაინც იძლევა და ***მთავარი მწვრთნელის გელა გომელაურის*** განმარტებით გუნდის თამაშში პროგრესი შეიმჩნევა.

— „ნაკრები ირანში შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა. ძირითადის 4 ფეხბურთელი გვაკლდა, ამას დაუმატეთ ნაკრების ამდენივე კანდიდატის არყოფნა, რაც გარკვეულ სირთულეებს გვიქმნის, თუმცა წინა მატჩებთან შედარებით, გუნდმა უკეთ ითამაშა“ — თქვა გელა გომელაურმა.

● ***რომელი რგოლია ყველაზე სუსტი გუნდში?***

— გამოსასწორებელი დაკვის ხაზია. იძულებული ვართ მცველების ადგილზე ნახევარმცველები ვათამაშოთ. მთლიანობაში სამუშაო ყველა რგოლში გვაქვს ჩასატარებელი. ძირითადი პრობლემა მაინც წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებია. ნაკრებს სრული შემადგენლობით ჯერ არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია.

● ***როგორც თქვით, თამაშში დადებითი ძვრები შეიმჩნევა. რას გულისხმობთ?***

— ნაკრები უფრო შეთამაშებულია. გუნდის ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბებული. ოფიციალურ მატჩებში, ვისაც დავეურდნობი, მათი ვინაობა ჩემთვის 90-95 პროცენტით ცნობილია.

● ***კიდევ თუ იგეგმება საკონტროლო მატჩები?***

— სომხეთში 7-14 სექტემბერს ორჯერ ვითამაშებთ.

● ***მეტოქეებზე თუ იცით რამე?***

— ინფორმაცია მწირია. ინგლისის ნაკრებში უმთავრესად 16-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები ითამაშებენ.

უკეთ მოსამზადებლად კიდევ არის დრო. სომხეთთან მატჩების შემდეგ მწვრთნელებს, ალბათ, საბოლოოდ ეცოდინებათ ნაკრების შესაძლებლობები.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მინიტურნირში, რომელიც ინგლისში 7-9 ნოემბერს გაიმართება, ქართველთა მეტოქეები ინგლისელი და უნგრელი თანატოლები იქნებიან.

საბა ლომინაძე

ირანის საერთაშორისო ტურნირი მატჩი III ადგილისთვის

17 აგვისტო

აზერბაიჯანი — საქართველო 1-1 (პენ. 5-4)

საქართველო: ჭრიკიშვილი (გერგედავა 90), იაკობიძე, ქუხილავა, გუშურაშვილი, ციმაკურიძე, ფირცხალავა (კოპალიანი 67), ხარბედია, ქოქიაშვილი, მანჭარაული (ფეიქრიშვილი 17), ალადაშვილი, ებანოიძე.

გოლი: გუშურაშვილი (80)

ნაკრების ეროვნული ნაკრები ზევით მიიწევს

ლუქემბურგის ნაკრების დამარცხებამ ჩვენი ეროვნული გუნდის ფიფა-სეულ რეიტინგზე დადებითად იმოქმედა. ნაკრებმა ერთბაშად შვიდი საფეხურით აინაცვლა ზევით და ახლა 72-ეა. ფიფა-კოკა-კოლას ახალი რეიტინგი 19 სექტემბერს გამოქვეყდება.

კობა ქორქიკაშვილი კმაყოფილია და მოვავალი ბაგალიებისთვის ემზადება

პალანგის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა სამი მატჩი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთიც წააგო.

უარყოფით შედეგებში „დამნაშავე“ რუსეთის ნაკრები იყო. სლავებს ვერაფერი მოვუხერხეთ, თუმცა ნაკრების მთავარი მწვრთნელი დადებითად აფასებს გუნდის თამაშს, ჩვენთან საუბარში მას არც ნაკლოვანებები გამორჩენია. ფინალში გასვლა და მეორე ადგილი ურიგო შედეგი ნამდვილად არაა. გუნდის თამაში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

● ***ამ ეტაპზე როგორია ნაკრების მზადების დონე?***

— შედეგებს დადებითად ვაფასებთ. გუნდი თამაშ-თამაშ იხვეწებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩებს შორის ძალების აღსადგენად მცირე დრო გვქონდა, არც „გრძელი სკამი“ გვქონდა, ბიჭების თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ.

● ***თავად ტურნირს როგორ შეაფასებდით?***

— საინტერესო შეჯიბრება იყო. თანაბარმა შემადგენლობამ მოიყარა

იხ. მე-5 გვ.

კობა ქორქიკაშვილი კვაყოფილია და მომავალი ბაზალიებისთვის ემზადება

(მეოთხე გვერდიდან)

თავი. მაგალითისთვის: ლატვიის ნაკრებში „სკონტოს“ 13 ფეხბურთელი თამაშობდა. ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი გუნდები ჰყავდათ ლიტვას და რუსეთს. იოლი არც ერთი მატჩი არ ყოფილა. რუსებთან არასრულფასოვანმა შეცვლებმა წაგვაგებინა ჯგუფში თითქმის მოგებული მატჩი. ჩვენს ერთ ცვლილებას რუსებმა შვიდი ფეხბურთელის შეცვლით უპასუხეს.

● ***რგოლებს შორის ურთიერთქმედება როგორი იყო?***

— მცველებმა და შუახაზის მოთამაშეებმა კარგად ითამაშეს. ჰელიძემ საუკეთესო მცველის პრიზი მიიღო. პრეტენზიები თავდამსხმელებთან მაქვს. მათ უკეთ შეეძლოთ თამაში, იგივე რუსებთან მატჩებში, სწორედ შეტევით ხაზს შეეძლო თამაშის შემობრუნება, იმდენი საგოლე მომენტი დაგვრჩა გამოუყენებელი. არადა, ამას ოფიციალურ მატჩებში აღარ გვაპატიებენ. ახლა ძირითადად ამ ნაკლის გამოსასწორებლად ვიმუშავებთ. თავდასხმაში მარტო მცველებისა და ნახევარმცველების აქტიურობის იმედად ვერ ვიქნებით. მათ შესაძლებლობაში დარწმუნებული ვართ და თავდამსხმელებს მეტ თავდადებასაც მოვთხოვთ. გუნდში მთლიანობაში ჯანსაღი ატმოსფეროა და ფეხბურთელებს და მწვრთნელებს ერთმანეთში ნორმალური ურთიერთობა გვაქვს.

● ***მზადების ბოლო ეტაპს როგორ გაივლით?***

— სექტემბრის დასაწყისში ისევ შევიკრიბებით, ჩავატარებთ საკონტროლო მატჩებს, გავივლით მიკროციკლს ისეთი ინტერვალით, როგორიც შესარჩევი მატჩებისას გვექნება. ვარჯიშებზე გამძლეობაზე და სისწრაფის გამომუშავებაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ესაუბრა
მიხეილ საბახტარიშვილი

პალანგა

საერთაშორისო ტურნირი

12 აგვისტო

ლატვია — საქართველო 1-2

საქართველო: ჩალაძე, კალაძე, ლომაია (კუტივაძე 54), ჰელიძე, მიქიაშვილი, კაპანაძე, კვახაძე, ხოჯავა (ბარაბაძე 73), ყველაშვილი (კაციტაძე 61), იაშვილი, ელიავა.

გოლები: ხოჯავა, ყველაშვილი.

15 აგვისტო

ლიტვა 1 — საქართველო 0-1

საქართველო: ჩალაძე, კალაძე, ჰელიძე, მიქიაშვილი, კაპანაძე, კვახაძე, ქოიავა, ყველაშვილი, იაშვილი (კაციტაძე 41), ელიავა, ბარაბაძე.

გოლი: ჰელიძე.

16 აგვისტო

საქართველო — რუსეთი 2-3

საქართველო: ჩალაძე, კალაძე, ჰელიძე, მიქიაშვილი, კაპანაძე, კვახაძე, ქოიავა, ყველაშვილი (იაშვილი 68), კაციტაძე, ელიავა, ბარაბაძე.

გოლები: კაციტაძე.

18 აგვისტო

საქართველო — ლიტვა II 2-0

საქართველო: ჯვარშეიშვილი, ლომაია, მიქიაშვილი, კუტივაძე, ბარაბაძე, ხოჯავა, ელიავა, კვახაძე (კალაძე 19), კაპანაძე, კაციტაძე (იაშვილი 41), უგრეხელიძე (ყველაშვილი 28)

გოლები: ბარაბაძე, კალაძე.

ფინალი

რუსეთი — საქართველო 0-0 (პ.4-3)

საქართველო: ჩალაძე (ჯვარშეიშვილი 109), კალაძე, ჰელიძე (ლომაია 83), მიქიაშვილი, კაპანაძე, ხოჯავა, ყველაშვილი (კვახაძე 65), იაშვილი (კგრეხელიძე 78), ელიავა, კაციტაძე, ზარაბაძე (კუტივაძე 19).

ჩემპიონთა ლიგა — განმეორებითი შეხვედრები

დინამო (უკრაინა) — სტიაუა (რუმინეთი) 1-1
0-1 ნიაგუ (28), 1-1 მელაშენკო (46)

გაიერი (გერმანია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 3-0
ნოვილი (13,59), კირსტენი (31)

ლიმერიკული (ინგლისი) — ჰაკა (ფინეთი) 4-1
1-0 ფაულერი (36), 1-1 კოვაჩი (44), 2-1 რედნაპი (59), 3-1 ჰესკი (55), 4-1 უილსონი (83 საკ. კარში).

გალიოტრა (ესპანეთი) — ჰოდუკი (ხორვატია) 2-0
ეტო'ო (26), ლუკე (95 დ.დ.)

ბარსელონა (ესპანეთი) — ვისლა (პოლონეთი) 1-0
ლუის ენრიკე (73)

ლაციო (იტალია) — კოპენჰაგენი (დანია) 4-1
1-0, 2-0 კრესპო (47,61), 3-0 კლაუდიო ლოპესი (63), 3-1 ზუმა (81), 4-1 ფიორე (90).

ლილი (საფრანგეთი) — პარმა (იტალია) 0-1
სენსინი (26)

რუსენბორგი (ნორვეგია) — ინტერი (სლოვაკეთი) 4-0
იონსენი (11), რუსფელდტი (15), სკამელსრუდი (42), სტრანდი (84)

ბორუსია (გერმანია) — შახტარი (უკრაინა) 3-1
0-1 აგახოვა (7), 1-1 კოლერი (50), 2-1 ამოროზო (64), 3-1 კოლერი (68).

სელტიკი (შოტლანდია) — აიაქსი (ჰოლანდია) 0-1
ვამბერტო (30)

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — სლავია (ჩეხეთი) 1-0
ბასინასი (26 პენ)

ფენერბახჩე (თურქეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) 2-1
1-0 რევივო (4), 2-0 აკინი (71), 2-1 რიკსენი (74)

ანდერლეხტი (ბელგია) — ჰალმშტადი (შვედეთი) 1-1
0-1 იონსენი (10), 1-1 დე ბეკი (82)

გრასჰოპერი (შვეიცარია) — პორტუ (პორტუგალია) 2-3
0-1 კლეიტონი (14), 0-2 კაპუშუ (43), 1-2 პეტრიჩი (78), 1-3 დეკუ (80), 2-3 შაპიუზა (87).

ტიროლი (ავსტრია) — ლოკომოტივი (რუსეთი) 0-1
მამინოვი (51)

ლევსკი (ბულგარეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 1-1
0-1 სერკან აიკუტი (50), 1-1 პანტელიჩი (79)

ამრიგად, გამოვლინდა ის 16 გუნდი, რომლებიც განაგრძობენ ჩემპიონთა ლიგის თასისათვის ბრძოლას. მათ მიემატება 16 განთესილი გუნდი და 32 გუნდი შექმნის 8 ქვეჯგუფს 4-4 გუნდით.

ინტერ-ტოტოს თასი

ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაზელი (შვეიცარია) 4-1
0-1 ჩიპერ ფელდი (30), 1-1 ვასელი (44), 2-1 ანხელი (55), 3-1 ანხელი (78), 4-1 ჟინოლა (ξ .).

ნიუკასლი (ინგლისი) — ტრუა (საფრანგეთი) 4-4
1-0 სოლანო (2), 1-1 ლერუა (25), 1-2 გუსე (28), 1-3 ბუტალი (46), 1-4 ბუტალი (61), 2-4 ამეობი (65), 3-4 სპიდი (69 პენ), 4-4 ჰიუზი (90).

ბრეშა (იტალია) — პსჟ (საფრანგეთი) 1-1
0-1 ალოიზე (74), 1-1 ბაჯო (80 პენ)

ამრიგად, დასრულდა ინტერტოტოს 2001 წლის გათამაშება. უეფას თასზე ადგილი მოიპოვეს ინგლისის „ასტონ ვილამ“, საფრანგეთის „პსჟ“ და თბილისის „ვიტ-ჯორჯიას“ „კარგად“ ნაცნობმა „ტრუამ“.

სურათზე: ნიუკასლი (ინგლისი) — ტრუა

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

ინგლისი

ევერტონი — ტოტენჰემი	1-1
ბალტონი — მიდლსბრო	1-0
იფსვიჩი — დერბი	3-1
არსენალი — ლიდსი	1-2
ფულემი — სანდერლენდი	2-0
ბლექბერნი — მანჩესტერი	2-2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბოლტონი	2	2	0	0	6-0	6
ლიდსი	2	2	0	0	4-1	6
მანჩესტერი	2	1	1	0	5-4	4
ევერტონი	2	1	1	0	3-2	4
არსენალი	2	1	0	1	5-2	3
ფულემი	2	1	0	1	4-3	3
იფსვიჩი	2	1	0	1	3-2	3
ლივერპული	1	1	0	0	2-1	3
სანდერლენ.	2	1	0	1	2-2	3
დერბი	2	1	0	1	3-4	3
ტოტენჰემი	2	0	2	0	1-1	2
ჩელსი	1	0	1	0	1-1	1
ნიუკასლი	1	0	1	0	1-1	1
ასტონ ვილა	1	0	1	0	0-0	1
ბლექბერნი	2	0	1	1	3-4	1
ჩარლტონი	1	0	0	1	1-2	0
ვესტ ჰემი	1	0	0	1	1-2	0
საუთჰემპტ.	1	0	0	1	0-2	0
მიდლსბრო	2	0	0	2	0-5	0
ლესტერი	1	0	0	1	0-5	0

ჰოლანდია

ბრედა — ტვენტე	3-3
როდა — ფეიენოორდი	0-2
გრონინგენი — ტილბურგი	1-0
ნაიმეგენი — ვალვაიკი	1-0
სპარტა — უტრეხტი	3-1
პსვ — დენ ბოსხი	3-2
ვიტესი — ალკმაარი	1-0
სიტარდი — გრააფსჰაპი	2-1

ფეიენოორდი	2	2	0	0	7-0	6
პსვ	2	1	1	0	5-4	4
ტვენტე	2	1	1	0	4-3	4
ბრედა	2	1	1	0	4-3	4
გრონინგენი	2	1	1	0	3-2	4
სიტარდი	2	1	1	0	2-1	4
ვიტესი	2	1	1	0	1-0	4
გრააფსჰაპი	2	1	0	1	4-2	3
ტილბურგი	2	1	0	1	3-2	3
ნაიმეგენი	2	1	0	1	2-3	3
სპარტა	2	1	0	1	3-6	3
აიაქსი	1	0	1	0	1-1	1
ჰერენვენი	1	0	1	0	0-0	1
დენ ბოსხი	2	0	1	1	2-3	1
როდა	2	0	1	1	1-3	1
ვალვაიკი	2	0	0	2	0-2	0
უტრეხტი	2	0	0	2	1-4	0
ალკმაარი	2	0	0	2	0-4	0

შვეიცარია

გადადებული მატჩები

ლოზანა — ქსამაქსი	1-1
სიონი — სერვეტი	1-3
ლუგანო — ციურიხი	1-1

ციურიხი	8	4	4	0	14-8	16
იანგ ბოისი	8	4	3	1	16-10	15
ლუგანო	8	4	2	2	12-9	14
სიონი	8	4	1	3	17-10	13
არაუ	8	3	3	2	12-9	12
სერვეტი	8	3	3	2	10-9	12
გრასჰოპერი	8	3	2	3	20-12	11
ქსამაქსი	8	2	4	2	6-6	10
სტ. გალენი	8	2	2	4	13-18	8
ბაზელი	7	2	2	3	11-17	8
ლოზანა	7	1	2	4	7-14	5
ლუცერნი	8	0	2	6	6-22	2

ესპანეთის სუპერთასი (III მაგჩი)

რეალი — სუპერთასის მფლობელი
ესპანეთის სუპერ თასის განმეორებით შეხვედრაში მადრიდის „რეალმა“ დამაჯერებლად სძლია „სარაგოსას“ — 3-0. ამ შეხვედრაში რაულმა „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა. რაც შეეხება „სამეფო კლუბის“ ყველაზე ძვირადღირებულ შენაძენს ზინედინ ზიდანს, ის ჯერ შორსაა საუკეთესო ფორმისაგან.

რეალი — სარაგოსა 3-0
რაული (73, 81,90).



32 გუნდი ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

4-4 გუნდი: გერმანია და ესპანეთი.
3-3 გუნდი: იტალია, ინგლისი და საფრანგეთი
2-2 გუნდი: რუსეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, საბერძნეთი და თურქეთი თითო გუნდი: ბელგია, შოტლანდია, ჩეხეთი, უკრაინა და ნორვეგია.

შეკითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი!

შეკითხვა: გთხოვთ მიპასუხოთ, რა მისამართზე შეიძლება ავიღო ინტერნეტიდან ცნობილი ფეხბურთელების ფოტოსურათები?
პასუხი: სამწუხაროდ, ინტერნეტში ასეთი გალერეისთვის ჯერ თავადაც ვერ მიგვიკვლევია. ერთადერთი გამოსავალია, ინტერნეტში მონახოთ ის კლუბი, რომლის თანამედროვე ფეხბურთელების ფოტოსურათები გაინტერესებთ. ეს შესაძლებელია.

შეკითხვა: მაინტერესებს კიევის „დინამოსთან“ დაკავშირება ინტერნეტით. გთხოვთ მაცნობოთ მისამართი.
პასუხი: www. fcdynamokyiv. com.ua

შეკითხვა: რომელი საფეხბურთო კლუბია მსოფლიოში ყველაზე მდიდარი?
პასუხი: ჯერჯერობით „მანჩესტერ იუნაიტედი“

შეკითხვა: გვეთანხმებით თუ არა, რომ მიმდინარე საფეხბურთო სეზონშიც ქუთაისის „ტორპედო“ გახდება საქართველოს ჩემპიონი?
პასუხი: ეს პრობლემა „ლელოს“ თანხმობა-ართანხმობით არ წყდება. მთავარია, თავად კლუბი რას ფიქრობს და რა მიზნებს ისახავს. თუმცა, მიზანიც რა ძნელად მისაღწევია, კარგად გეცოდინებათ.

შეკითხვა: მართალია თუ არა, რომ გატაცებული კახი კალაძის ძმა უკვე განთავისუფლებულია?
პასუხი: დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. ისე, პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ განთავისუფლებულია. რა ამის პასუხია და, გუშინ, 23 აგვისტოს, 3 თვის წინათ გატაცებული არაბი ბიზნესმენი გაათავისუფლეს...

შეკითხვა: მართალია თუ არა, რომ ინტერნეტში შეიძლება უყუროთ საფეხბურთო მატჩების პირდაპირ გადაცემას?
პასუხი: დიახ, ეს შესაძლებელია. ინტერნეტში მონახეთ საიტი www. sport.list. ru

შეკითხვები მოგვწერეთ რედაქციაში ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე:

gazeti_lelo@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ჩემპიონატის 2001-2002 წლების გათამაშების კალენდარი

I ტური (26 აგვისტო)
ბოლონია — ატალანტა
ბრეშია — მილანი
ფიორენტინა — კიევო
ინტერი — პერუჯა
იუვენტუსი — ვენეცია
ლაციო — პიაჩენცა
ლეჩე — პარმა
უდინეზე — ტორინო
ვერონა — რომა

II ტური (9 სექტემბერი)
ატალანტა — იუვენტუსი
კიევო — ბოლონია
მილანი — ფიორენტინა
პარმა — ინტერი
პერუჯა — ლაციო
პიაჩენცა — ლეჩე
